საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



კოალიცია
დამოუკიდებელი
და გამჭვირვალე
მართლმსაჯულებისთვის
Coalition for
an Independent and
Transparent Judiciary

კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისათვის ვენეციის კომისიას წარუდგენს თავის მოსაზრებებს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ მიღებულ ცვლილებებზე

მიმდინარე წლის 20 მაისს, კოალიციას „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის“ დაუკავშირდა ვენეციის კომისიის საკონსტიტუციო

ჯ. კახიძის #15, თბილისი, საქართველო, 0102 ; ტელ: (995 32) 95 23 53; ფაქსი: (995 32) 92 32 11; ელ-ფოსტა: gyla@gyla.ge; www.gyla.ge
15, J. Kakhidze str. 0102, Tbilisi, Georgia. Tel: (995 32) 95 23 53; Fax: (995 32) 92 32 11; E-mail: gyla@gyla.ge; www.gyla.ge

მართლმსაჯულების განყოფილების ხელმძღვანელი, ბატონი შნუც როდულფ დური და სთხოვა საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ საკანონმდებლო ცვლილებებზე მოსაზრების წარდგენა.

ვენეციის კომისია, საქართველოს პრეზიდენტის მიმართვის საფუძველზე, ამზადებს დასკვნას აღნიშნულ საკანონმდებლო ცვლილებებთან დაკავშირებით. შესაბამისად, კომისია დაინტერესდა იმით, თუ როგორ აფასებს კოალიცია ცვლილებების მიზანს, მათი მიღების პროცესს, ცალკეულ დებულებებს, რომლებიც ეხება მოსამართლეთა უფლებამოსილების ვადას, პლენუმის კომპეტენციის ზრდას, გადაწყვეტილების გამოქვეყნების წესს, პლენარული სესიის კვორუმის ცვლილებას და სხვ.

კოალიციამ მოამზადა ვრცელი დოკუმენტი, რომელშიც მოცემულია ცვლილელებების დეტალური სამართლებრივი ანალიზი და შეფასებულია მათი გავლენა საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობაზე.

კოალიცია უარყოფითად აფასებს საკანონმდებლო ცვლილებებს და მიიჩნევს, რომ მათი ამოქმედება გამოიწვევს საკონსტიტუციო სასამართლოს პარალიზებას და მისი როლის დაკნინებას, რაც მნიშვნელოვნად დააზიანებს ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებას.